შპს „გლობუსი“

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა
ქ. თბილისი, სამგორის რაიონი ნაკვეთი (ს/კ №01.19.13.002.024-ის)
ტერიტორიაზე ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობის
მშენებლობის პროექტისათვის.

თბილისი 2021წ

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების რაოდენობა
1	2	3
	I ტექსტური ნაწილი	
1.	ტექნიკური დავალება	1 ფურცელი
2.	მიწერილობა	1 ფურცელი
3.	საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა	7 ფურცელი
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4.	გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	6 ფურცელი
	III გრაფიკული ნაწილი	
5.	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.	1 ფურცელი
6.	ჭაბურღილების ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები	3 ფურცელი
7.	უბნის ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები	3 ფურცელი

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობა;

დამკვეთი– შპს „მეღვინეობა ხარება“-ს დირექტორი ზურაბ გოზალიშვილი;

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკ. №01.19.13.002.024

დაპროექტების სტადია - მუშა დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი –ახალი.

ობიექტის ტექნიკური დახასიათება: დასაპროექტებელი ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობა. პირველი სართულის იატაკის ნიშნული (±0.00) აიღება დაგეგმარების მიხედვით.

შენობის ტიპი – მეტალის მსუბუქი კონსტრუქცია;

საძირკვლის ტიპი – ჩვეულებრივი, ლენტური, რკინა-ბეტონის ფილის მოწყობით.

დატვირთვა საძირკვლებზე – მოცემული არ არის.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია გადმოგვეცეს აკინძული 2 ეგზემპლიარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

დანართი:უბნის ტოპოგეგმა 1:500მასშტაბში.

დავალება გასცა: შპს „მეღვინეობა ხარება“-ს

დირექტორმა /ზურაბ გოზალიშვილმა/

მიწერილობა

ქ. თბილისი, სამგორის რაიონი ნაკ. №01.19.13.002.024-ზე ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობების, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის /პ.1,19 და პ 1.22-ის მე-2 შენიშვნის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) მოთხოვნების საფუძველზე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მიზანია უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი სასაწყობე შენობა-ნაგებობის დაფუძნების საკითხების გადაწყვეტა.

საკვლევ უბანზე ადრე ჩატარებული კვლევების შესახებ ცნობილი არ არის. ახლომდებარე უბანზე წინა წლებში ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომლის შედეგებიც საჭიროებისას გამოყენებული იქნას დასკვნის შედგენისას.

სამშენებლო უბნის გეოლოგიური აგებულების დასადგენად გაყვანილი იქნას 5 ჭაბურღილი, (საერთო სიგრძით 25.00 გრძ/მეტრი).

გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში ქიმიური ანალიზისათვის აღებული იქნეს სინჯი, ბეტონის მიმართ აგრესიულობის ხარისხის განსასაზღვრავად.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დასკვნა) იმავე ს.ნ და წ. მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2 ეგზემპლიარად.

ინჟ.გეოლოგი /თ. ჭულუხაძე/

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა
ქ. თბილისი, სამგორის რაიონი (ს/კ №01.19.13.002.024-ის) ტერიტორიაზე ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროექტისათვის.

შესავალი

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „მეღვინეობა ხარება“-ს დირექტორის ზურაბ გოზალიშვილის მომართვის საფუძველზე. კვლევა ძიების მიზანია შესწავლილ იქნას დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნებისათვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები და გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

გამოსაკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში. საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს ერთსართულიან შენობებს, შენობები გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, საძირკვლი ლენტური, რკინა-ბეტონის ფილის მოწყობით, შენობის ტიპი მეტალის მსუბუქი კონსტრუქცია.

შესასწავლ უბანზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, გაყვანილ იქნა 5 ჭაბურღილი: საერთო სიღრმით 25.00 მ-ის. გეოლოგიური ჭრილი და შურფის ჭრილი მოცემულია დანართში, აგრეთვე გრუნტის კვლევის საანგარიშო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში.

საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა

გამოსაკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობის თვალსაზრისით სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორია ათვისებულია სხვადასხვა შენობა-ნაგებობებით, თუმცა უშუალოდ სამშენებლო ფარგლებში სპეციალური გამოკვლევები არ ჩატარებულა.

1. ზოგადი ნაწილი

1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

გეომორფოლოგია: ადმინისტრაციულად გამოსაკვლევი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი დაბოლოების, ივრის ზეგნის მიმართულებით. საკვლევი მოედანი შემოსაზღვრულია საკარმიდამო ნაკვეთებით. სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება ლილოს ბაზრობა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კახეთი-თბილისის ავტომაგისტრალი. სამშენებლო მოედნის ზედაპირის ნიშნულები 559.95მ X 564.48მ-ის ფარგლებში იცვლება, კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია, ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში. ნალექების საშუალო წლიური ჯამი – 520მმ, ტერიტორია ხასიათდება კარგად გამოხატული ჰაერის მასების მოძრაობით ქარის საშ. სიჩქარე 10მ/წმ-12მ/წმ, მაქსიმალური სიჩქარე აღინიშნება თებერვალსა და მარტში.

თოვლის საფარის წარმოქმნა სპორადული ხასიათისაა, იგი ჩვეულებრივ წარმოიქმნება მცირე ხნით, რამდენჯერმე ზამთრის განმავლობაში, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 20-30სმ-ია, ხოლო ჩვეულებრივ - 10სმ. გრუნტის გაყინვის სიღრმე თიხნაროვან ქანებში შეადგენს 0.1-0.3მ-ს, ხოლო მსხვილნატეხოვან ქანებში 0.2-0.5მ-ს.

გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საპროექტო უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე, ლილოს ბაზრობის მიმდებარედ. სამშენებლო მოედანი გეოლოგიურად წარმოდგენილია ოთხი ფენით:
ფენა №1 – მიწის ნიადაგი, ღორღის, თიხნარების, ქვიშების და სამშენებლო ნაგვის ჩანართები. სიმძლავრე 0.3 – 0.5 მ-ის ფარგლებში.
ფენა №2 – თიხნარები და თიხები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო – dpQ_{IV} - გავრცელებულია მთელ უბანზე მეორე შრის სახით 0.5-დან – 3.00 მ სიღრმემდე. ფენა №3 წარმოდგენილია მდინარეული ტერასით, კენჭნარით და რიყნარით, თიხნარის და ქვიშნარის შემავსებლით.
ფენა №4 წარმოდგენილია ოლიგოცენური ასაკის არგილიტებით და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით.

2. სპეციალური ნაწილი

უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენების ჩასახვა – განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო - გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საველე სამუშაოების და მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია 4 ფენა: ფენა №1 ნაყარი გრუნტი, ნიადაგი.

ფენა №2 თიხნარები და თიხები.

ფენა №3 კენჭნარები და რიყნარები.

ფენა №4 მუქი არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები.

2.1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – მიწის ნიადაგი, ღორღის, თიხნარების, ქვიშების და სამშენებლო ნაგვის ჩანართები. სიმძლავრე 0.3 – 0.5 მ-ის ფარგლებში.

ფენა №2 – თიხნარები და თიხები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო – dpQIV - გავრცელებულია მთელ უბანზე მეორე შრის სახით 0.5-დან – 3.00 მ სიღრმემდე. ფენა №3 წარმოდგენილია მდინარეული ტერასით, კენჭნარით და რიყნარით, თიხნარის და ქვიშნარის შემავსებლით.

ფენა №4 წარმოდგენილია ოლიგოცენური ასაკის არგილიტებით და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით.

ცხრილ 1-ში მოყვანილია თიხნარების და თიხების საანგარიშო ნორმატიული მაჩვენებლები.

ცხრილი 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	თიხნარი ბუნებრი.
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	1.91
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_d	გ/სმ³	1.58
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ³	2.72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	20.49
5	ფორიანობა	n	%	46
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0,72
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ.	28.0
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ.ნაწ.	17.12
9	პლასტიკურობის რიცხვი	Ip	ერთ.ნაწ.	10.88
10	დენადობის ზღვარი	I_L	ერთ.ნაწ.	0.31
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.27
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	21.50
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ²	0.265
14	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ²	173
15	საანგარიშო წინაღობა	Ro	კგძ/სმ²	2.19

სიმტკიცის მახასიათებლები აღებულია ს. ნ. და წ. (02.01-08) - ის შესაბამისი ცხრილებიდან.

2.2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

სამშენებლო მოედანი წარმოდგენილია ზედაპირით, რომელსაც მცირეოდენი დახრა სამხრეთით, როგორც მონაცემებიდან ჩანს, სამშენებლო უბანზე გავრცელებულია გენეტიკურად და ლითოლოგიურად განსხვავებული გრუნტები, თანამედროვე ნიადაგის საფარი და ნაყარი, მეოთხეული ასაკის პროლუვიურ-დელუვიური თიხნარები, ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები.

ქ. თბილისი, სნ და წ - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09) – ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. №1 – ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურ საშიშროებად მიღებული უნდა იყოს 8 ბალი.

სამშენებლო უბანზე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის. სამშენებლო მოედნის მომზადების პროცესში განსაკუთრებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ არის, დასაპროექტებელი შენობის ზომებიდან და სართულიანობიდან გამომდინარე. საძირკვლის საყრდენ გრუნტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თიხნარები და თიხები. წვრილი კენჭების, ღორღის და ქვიშნარების ჩანართებით. საძირკველი დაფუძნებული უნდა იქნას თიხნარ ქანებზე ლენტური ტიპის რკინა-ბეტონის ფილის მოწყობით, რეკომენდირებულია საძირკვლის ჰიდროიზოლაცია, გრუნტისა და ჩამდინარე წყლებისგან დასაცავად. სამშენებელო მოედნის ამგები გრუნტები მათზე მშენბელობის თვალსაზრისით ხასიათდებიან დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიური მახვენებლებით. საამშენებლო უბანზე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის.

შენობის თიხნარებზე დაფუძვნების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მისი არამდგრადობა შეცვლილ გარემოში, რაც თხელფირფიტოვან არამდგრად მასის წარმოქმნამდე ქანის დაშლაში გამოიხატება, ასეთ შემთხვევაში განსახილველი ქანის წინაღობა დასაშვებ დატვირთვაზე (R0) განისაზღვრება არაუმეტეს 1-2.0 X 0.1 მპა სიდიდით. ამიტომ თიხნარებზე ნაგებობის დაფუძნების შემთხვევაში ფუნდამენტის მოწყობა უნდა მოხდეს ლენტური ტიპის რკინა-ბეტონის ფილით, ქანის გახსნისთანავე.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნაკ. №01.19.13.002.024-ის, ტერიტორია მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო – გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

2. უბანზე გამოყოფილია 1 საინჟინრო - გეოლოგიური ელემენტი (სგე): I სგე – ფენა №2, რომელის საანგარიშო მახვენებლები მოცემულია - ცხრ. 2-ში

ცხრ. 2

სგე-ს №№	სიმკვრივე, ρ ტ/მ³	ხვ.შეჭიდულობა .C კგძ/სმ²	შიგა ხახ. კუთხე, φ; ;გრად	პუასონის კოეფიც. μ	დეფორმ. მოდული E, კგძ/სმ²	საანგარიშო წინაღობაRo კგძ/სმ²
I	1.91	0.265	21.5	0.35	173	2.19

3. ქ. თბილისი, სნ და წ - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09) – ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. №1 – ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურ საშიშროებად მიღებული უნდა იყოს 8 ბალი.

4. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ.და წ. IV. –5 –82 ის ცხრ. №1 –ის თანახმად, განეკუთვნებიან: ფენა № 1 – 24 ა; ფენა № 2 – 33 გ

შპს „გლობუსი"-ს დირექტორი: /რ. ჭულუხაძე/

ინჟინერ-გეოლოგი: /თ. ჭულუხაძე/

500750.00500775.00500800.00500825.00500850.00500875.00500900.00500925.00500950.00500975.00501000.00



4615650.00 4615675.00 4615700.00 4615725.00 4615750.00 4615775.00 4615800.00 4615825.00 4615850.00 4615875.00 4615900.00 4615925.00 4615950.00

500750.00500775.00500800.00500825.00500850.00500875.00500900.00500925.00500950.00500975.00501000.00

ᲕᲘᲠᲝᲒᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

- ᲕᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ
- ᲨᲔᲜᲝᲑᲐ
- ᲡᲔᲠᲕᲘᲢᲣᲢᲘ
- 500 ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ
- ᲤᲝᲗᲚᲘᲡᲬᲘᲐᲜᲘ ᲮᲔ
- ᲤᲘᲬᲘᲡᲬᲘᲐᲜᲘ ᲮᲔ
- ᲔᲚ. ᲒᲝᲩᲘ
- ᲤᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
- ᲑᲣᲠᲯᲘ
- ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲘ
- ᲐᲡᲤᲐᲚᲢᲘᲡ ᲒᲖᲐ
- ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲠᲝ ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲘ
- ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲖᲐ
- ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ
- ᲑᲔᲢᲝᲜᲘ

UTM ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘ

Geodesy

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ	ᲢᲝᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ	
ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ	ᲥᲐᲗᲔᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲒᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ, ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ (02/016),(02/018),(02/023)	
ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘᲡᲘ	ᲨᲡᲗ "ᲛᲔᲚᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲮᲐᲠᲔᲒᲐ"	
ᲐᲖᲝᲛᲐ		ა. ჯაფარიძე
ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ		ი. გათუაშვილი
მ: 1:1500	ᲤᲐᲠᲗᲝᲒᲘ: 28395 კ3.მ.	16.04.2021

204447394

სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორია

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია თბილისში,სამგორის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე
(ს/კ 01.19.13.002.024) ასაშენებელი სასაწყობე შენობა - ნაგებობის
სამშენებლო მოედანზე აღებული გრუნტის სინჯების
ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე

სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
აკადემიური დოქტორი

გიორგი ბალიაშვილი

24/06/21

თბილისი 2021 წ

1. ანგარიში წარმოდგენილია 6 გვერდზე. შეიცავს 12 ცხრილს და ერთ ნახაზს.
2. სინჯის წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები.
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე.
3. ГОСТ 12248-78 გრუნტების ძვრზე წინაღობის ლაბორატორიულ პირობებში დადგე-ნის მეთოდები;
4. СП 22.13330.2011 ფუძე-საძირკვლები. СНиП 2.02.01-83-ის აქტუალიზირებული რედაქცია;
5. СНиП 2.02.01-83 ფუძე-საძირკვლები;
6. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 54 წლის და ბეტონების მიმართულებით 20 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გიორგი ბალიაშვილის მიერ. კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.

შენიშვნა

სტანდარტების ГОСТ 28985-91 და ГОСТ 21153,5-84 შესაბამისად 5 მეგაპა-ზე დაბალი სიმტკიცის მნიშვნელობის ქანზე დრეკადობის მოდული, შეჭიდულობა და შიგა ხახუნის კუთხე ლაბორატორიული ცდებით არ განისაზღვრება.

ცხრილი ცხრილი 1- ნახევრად კლდოვანი გრუნტის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	ჭაბურღილის №	სინჯის აღების სიღრმე, მ H	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, ბუნებრივ მდგომარეობაში, მეგპა R	ტენიანობა, % W	სიმკვრივე, გ/სმ³ ρ
1	არგილითი	1	4,0-4,5	2,0	5,92	2,11

ცხრილი 2- ნახევრად კლდოვანი გრუნტის კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	ნახევრად კლდოვანი, დაბალი სიმტკიცის[1]	მკვრივი[4]	დარბილებადი

შენიშვნა: 1– შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეექვსე რეიტინგის;
2- ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.

28/06/21

ცხრილი 3- ნახევრად კლდოვანი გრუნტის ტენიანობა ბუნებრივი

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის					
	№	ბიუქსის №	მასა, გ			ტენიანობა %
			ცარიელის	ტენიანი ნიმუშით	გამომშრალი ნიმუშით	
1	1	178	22,58	41,95	40,87	5,91
	2	27	23,10	42,40	41,32	5,93

ცხრილი 4- ნახევრად კლდოვანი გრუნტის სიმკვრივე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის					
	№	მასა, გ		მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით	პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში წყალში			
1	1	41,23	44,36 21,43	3,48	19,45	2,12
	2	41,25	44,37 21,26	3,47	19,64	2,10

ცხრილი 5- ნახევრად კლდოვანი გრუნტის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, მეგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1.1	3,11	3,10	3,21	9,64	0,80	260	2,2	ბუნებრივი
	1.2	3,40	3,40	3,40	11,56	0,80	285	2,0	
	1.3	3,39	3,40	3,35	11,53	0,80	255	1,8	
	1.4	3,35	3,36	3,36	11,26	0,80	220	1,6	
	1.5	3,34	3,35	3,36	11,19	0,80	330	2,4	
	1.6	3,25	3,20	3,42	10,40	0,80	270	2,1	

28/06/21

ცხრილი 6-დისპერსული გრუნტის თვისებათა მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ჭაბურღილის №	სიღრმე, მ H	ტენიანობა გუნებრივი,% W	ტენიანობა დენადობის ზღვარზე % WL	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე % WP	პლასტიკურობის რიცხვი IP	დენადობის მაჩვენებელი IL	სიმკვრივე გუნებრივი, გ/სმ³ ρ	სიმკვრივე ჩონჩხის, გ/სმ³ ρd	სიმკვრივე მინერალური ნაწილაკების, გ/სმ³ ρs	ფორიანობის კოეფიციენტი e	სრული ტენტევადობა Ss	საანგარიშო წინაღობა, კგძ/სმ² R₀
2	3	2,0	20,49	28,00	17,12	10,88	0,31	1,91	1,58	2,72	0,72	0,27	2,19

ცხრილი 6-ის დასასრული

სინჯის №	შინაგანი ხახუნის კუთხე, გრადუსი φ	შეჭიდულობა, კგძ/სმ² C	დეფორმაციის მოდული, კგძ/სმ² E	განივი დეფორმაციის კოეფიციენტი ν	გრუნტის სახეობა
2	21,5	0,265	173	0,359	თიხნარი ძნელპლასტიკური, მოყავისფერი

ცხრილი 7- -დისპერსული გრუნტის ტენიანობა ბუნებრივი

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის					
	№	ბიუქსის				ტენიანობა %
		№	წონა, გ			
			ცარიელის	ტენიანი ნიმუშით	გამომშრალი ნიმუშით	
2	1	178	22,58	44,07	40,42	20,48
	2	27	23,10	40,75	40,32	2,50

ცხრილი 8- -დისპერსული გრუნტის ტენიანობა დენადობის ზღვარზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის					
	№	ბიუქსის				ტენიანობა %
		№	წონა, გ			
			ცარიელის	ტენიანი ნიმუშით	გამომშრალი ნიმუშით	
2	1	197	23,14	46,10	41,08	28,00
	2	95	22,37	46,33	41,09	28,00

ცხრილი9- -დისპერსული გრუნტის ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის					
	№	ბიუქსის				ტენიანობა %
		№	წონა, გ			
			ცარიელის	ტენიანი ნიმუშით	გამომშრალი ნიმუშით	
2	1	295	22,70	42,81	39,87	17,11
	2	19	21,78	43,03	39,92	17,13

ცხრილი 10- -დისპერსული გრუნტის სიმკვრივე გამომშრალი და ბუნებრივი მდგომარეობის

სინჯის #	ნიმუშის #	ჭურჭლის წონა, გ	ჭურჭლის წონა ნიმუშით, გ	ჭურჭლის/ ნიმუშით მოცულობა, სმ³	ნიმუშის წონა, გ	სიმკვრივე გამომშრალი, გ/სმ³		ბუნებრივი სიმკვრივე, გ/სმ³
						ნიმუშების მიხედვით	საშუა-ლო	
2	1	315	3455	2000	3140	1,57	1,58	1,91
	2	315	3495	2000	3180	1,59		

28/06/21

ცხრილი 11- -დისპერსული გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	პიკნომეტრის №	წონა, გ			ნიმუშის წონა, გ	მოცულობა სმ³	ნაწილაკების სიმკვრივე, გ/სმ³
			ცარიელის	გამოხდილი წყლით	გამოხდილი წყლით და ნიმუშით			
2	1	15	26,5	133,02	142,53	15	5,49	2,73
	2	6	27,3	125,39	134,85	15	5,54	2,71

ცხრილი 12- -დისპერსული გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	ნორმალური წნევა ნიმუშზე, კგძ/სმ²	ბუნებრივ მდგომარეობაში		
			მხები, პიკური ძაბვა, კგძ/სმ²	შინაგანი ხახუნის კუთხე, გრადუსი	შეჭიდულობა, კგძ/სმ²
2	1	1	0,571	21,5	0,266
	2	2	0,808		
	3	3	1,071		



ნახ. 1- სინჯი 2, მხებ პიკურ ძაბვებსა და ნორმალურ ძაბვებს შორის დამოკიდებულებისგრაფიკი

სამგორის რაიონი, ს/კ №01.19.13.002.024

ჭ. №2

ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ლითოლოგიური ჭრილი 1:100	ქანების ლითოლოგიური აღწერილობა	გრუნტის წყლის დონე (გამ.)	გრუნტის წყლის დონე (დამყ.)
1	0	0.30	0.30	561.98 / 561.68		მეოთხეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, თიხნარები	გამ.	დამყ.
2	0.30	1.70	1.40	560.28		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართებით.		
3	1.70	3.50	1.80	558.48		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	3.50	4.40	0.90	557.58		ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები		

ჭ. №3

ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ლითოლოგიური ჭრილი 1:100	ქანების ლითოლოგიური აღწერილობა	გრუნტის წყლის დონე (გამ.)	გრუნტის წყლის დონე (დამყ.)
1	0	0.40	0.40	561.62 / 561.22		მეოთხეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, თიხნარები	გამ.	დამყ.
2	0.40	2.20	1.80	559.42		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართებით.		
3	2.20	3.70	1.50	557.92		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	3.70	4.70	1.00	556.92		ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



პირობითი ნიშნები



ჭ. №4

ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	სიმძლავრე მ	[illegible]	[illegible] 1:100	[illegible]	[illegible]	
1	0	0.50	0.50	561.17 / 560.67		მეოთხეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, თიხნარები	გამ.	დამყ.
2	0.50	3.00	2.50	558.17		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერ-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართებით		
3	3.00	4.50	1.50	556.67		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	4.50	5.00	0.50	556.17		[illegible]		

ჭ. №5

ფენის №	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	სიმძლავრე მ	[illegible]	[illegible] 1:100	[illegible]	[illegible]	
1	0	0.40	0.40	561.46 / 561.06		მეოთხეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, თიხნარები	გამ.	დამყ.
2	0.40	3.80	3.40	557.66		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერ-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართებით.		
3	3.80	5.20	1.40	556.26		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	5.20	5.80	0.60	555.66		[illegible]		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



პირობითი ნიშნები



სამგორის რაიონი, ს/კ №01.19.13.002.024

ჭ. №4

ფენის №	ფენის ხიღრმე დან	ფენის ხიღრმე მდე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნულები	ლითოლოგიური კვეთილი 1:100	ქანების ლითოლოგიური თავისებურებანი	ტერენის წერტილის დაშორება და ნიადაგის თანმიმდევრობა	
							გამ.	დამშ.
1	0	0.50	0.50	561.17 560.67		მოთხვრილი ნაყარი გრუნტი სიღდეგი, თიხნარები		
2	0.50	3.00	2.50	558.17		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართები		
3	3.00	4.50	1.50	556.67		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	4.50	5.00	0.50	556.17		ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები		

ჭ. №1

ფენის №	ფენის ხიღრმე დან	ფენის ხიღრმე მდე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნულები	ლითოლოგიური კვეთილი 1:100	ქანების ლითოლოგიური თავისებურებანი	ტერენის წერტილის დაშორება და ნიადაგის თანმიმდევრობა	
							გამ.	დამშ.
1	0	0.50	0.50	561.32 560.82		მოთხვრილი ნაყარი გრუნტი სიღდეგი, თიხნარები		
2	0.50	2.00	1.50	559.32		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართები.		
3	2.00	3.40	1.40	557.92		მდინარეული ტერასა რიყნარები და კენჭნარები.		
4	3.40	5.10	0.70	557.22		ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები		

ჭ. №2

ფენის №	ფენის ხიღრმე დან	ფენის ხიღრმე მდე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნულები	ლითოლოგიური კვეთილი 1:100	ქანების ლითოლოგიური თავისებურებანი	ტერენის წერტილის დაშორება და ნიადაგის თანმიმდევრობა	
							გამ.	დამშ.
1	0	0.30	0.30	561.98 561.68		მოთხვრილი ნაყარი გრუნტი სიღდეგი, თიხნარები		
2	0.30	1.70	1.40	560.28		თიხნარები და თიხები, მუქი ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების და ქვიშნარების ჩანართები.		
3	1.70	3.50	1.80	558.48		მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.		
4	3.50	4.40	0.90	557.58		ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



პირობითი ნიშნები

- მოთხვრილი ნაყარი გრუნტი ნიადაგი, თიხნარები.
- შუქი ყავისფერი-მოყვითალო, თიხნარები და თიხები, კენჭების და ქვიშნარების ჩანართები.
- მდინარეული ტერასა, რიყნარები და კენჭნარები.
- ოლიგოცენური ასაკის არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

შპს „მევენახეობა ხარება“-ს დირექტორის ზურაბ გოზალიშვილის მომართვის საფუძველზე ჩვენს მიერ 2021 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე ორი ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის ასაშენებლად გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე ორი ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის ასაშენებლად გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გლობუსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი თეიმურაზ ჭულუხაძე. გრუნტის თვისებების გამოკვლევები შესრულებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი ----------7 გვ.
2. მიწერილობა----------1 გვ.
3. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე----------6 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა----------1 გვ.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები----------3გვ.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი----------3 გვ.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა მოხდეს ორი ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, კონსტრუქციულად შენობის საძირკველი გადაწყვეტილია, ლენტური, რკინა-ბეტონის ფილის მოწყობით. კედლები მეტალის მსუბუქი კონსტრუქციის. მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 25.00მ-ის სიგრძის. ჭაბურღილიდან აღებული იქნა ნიმუში გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა №1 – მიწის ნიადაგი, ღორღის, თიხნარების, ქვიშების და სამშენებლო ნაგვის ჩანართები. სიმძლავრე 0.3 – 0.5 მ-ის ფარგლებში.

ფენა №2 – თიხნარები და თიხები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო – dpQ_{IV} - გავრცელებულია მთელ უბანზე მეორე შრის სახით 0.5-დან – 3.00 მ სიღრმემდე.
ფენა №3 წარმოდგენილია მდინარეული ტერასით, კენჭნარით და რიყნარით, თიხნარის და ქვიშნარის შემავსებლით.

ფენა №4 წარმოდგენილია ოლიგოცენური ასაკის არგილიტებით და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოედნის სულ ზედა ფენა ნიადაგის ფენით არის წარმოდგენილი. შემდეგი ფენა, მეოთხეული, პროლივიურ-დელუვიური ნალექები, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან მოყვითალო-ყავისფერი თიხნარებით და თიხებით. მესამე – მდინარეული ტერასა, კენჭნარები და რიყნარები. მეოთხე – ოლიგოცენური ასაკის მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები, როგორც ავტორი აღნიშნავს, ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება არ არის მოსალოდნელი. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკ. №01.19.13.002.024-ზე ორი ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის ასაშენებლად გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა.

ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე ჟუჟა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა. 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტ[უტის] სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ[ეტის] გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ[ების] ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებული აქვს 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიები „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი აქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავი[ს] სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ[ზე] გაცემული აქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობის დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე აქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად;

ჟუჟა ჭოხონელიძე

დიპლომი

Я № 168109

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა

ამ ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. 30 ივნისის დადგენილებით გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ- ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1972 წ. „2" აგვისტო

სარეგისტრაციო № ГБ-205

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МВК № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Цохонелидзе Гуго Ильич

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010589

სახელი [illegible]

გვარი [illegible]

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

სქესი ------

[illegible] 0266413

პირადი ხელმოწერა

ეროვნება ------

მოწმობა გაცემულია ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილების

გაცემის თარიღი 27.09.2000 წ.

მოქმედების ვადა -----

შ.ს. [illegible] განყოფილების უფროსის ხელმოწერა

კონსტრუქციული ნაწილი

მუშა პროექტი

კონსტრუქტორი: ბექა ქირია

თბილისი 2022

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისი, შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მარკით "კ" მოცემულია
ალბომში, რომელიც დამუშავდა ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული ნახაზების მიხედვით მარკით "ა".
პირობით ნიშნულად 0.00 მიღებულია შენობის I სართულის იატაკის დონე, რომელიც შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს ხხხ0 მ-ს;
სეისმური დარაიონების მიხედვით სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში.
საძირკვლის ფუძედ მიღებულია I სგე - ფენა №2 თიხნარი გრუნტი, რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

სიმკვრივე ρ_6=1.91 გ/სმ^3;
შინაგანი ხახუნის კუთხე φ_6=35^0
ხვედრითი შეჭიდულობა C_6=65 კპა (0.065 კგძ/სმ^2);
დეფორმაციის მოდული E=0.72 მპა (72 კგძ/სმ^2);
საანგარიშო წინაღობა R_0=219 კპა (2.19 კგძ/სმ^2);

მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სივრცითი კარკასი ხისტი კვანძებით:
საძირკველი - წერტილოვანი 130X130X50 სმ; ბეტონი B25;
გადახურვის ფილები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 10 (სმ), ბეტონი B25;
კარკასის შევსება და ტიხრები - მსუბუქი ბლოკების წყობა, ჩამაგრდეს მზიდ კონსტრუქციებთან შესაბამისი დეტალების საშუალებით.
წინამდებარე პროექტი გაანგარიშებულია და დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

ზოგადი მითითებები

1. ქვაბული მიღებულ იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ, რაზეც შედგეს შესაბამისი აქტი.
2. მშენებლობის ორგანიზაციამ უზრუნველყოს მონოლითური რკინაბეტონის რიგელებში და ფილებში ბეტონის ჩაწყობა უწყვეტად ჰორიზონტალური მიმართულებით .
3. რკინაბეტონის ელემენტების დაბეტონებისას უნდა გაეწიოს კონტროლი მარკას, ვიბრირებას, დაბეტონების ხარისხს და შრობის პროცესებს თანახმად ГОСТ 10180-78, ГОСТ 18105.0-80, ГОСТ 18105.1-80, ГОСТ 18105.2-80.
4. რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია A240 და A500C კლასის არმატურა ТСН 102-00-ის მიხედვით. შემოწმებულ იქნას არმატურის ხარისხი და შედგეს შესაბამისი აქ
5. ანკერების და ჩასატანებელი დეტალებისათვის გამოყენებულია ლითონის ფურცლები EN10027-1(2)-ის მიხედვით.
6. ანკერები დამზადდეს ხელის რკალური შედუღებით განღრუებულ ნახვრეტში ГОСТ 19292-73-ის მიხედვით.
7. რკინაბეტონის კონსტუქციებში გრძივი არმატურის დაკავშირება შესრულდეს გადადებით, სადაც ღეროების 50% გადაებმება სხვადასხვა დონეზე წინამდებარე პროექტის მიხედვით.
8. არმატურების მოღუნვა მოხდეს ცივად (გაცხელების გარეშე)
9. კარკასის ღეროვან ელემენტებში განივი არმირება შესრულდეს შეკრული არმატურის საკიდების მეშვეობით, რომელთა ბოლოები გადაიღუნოს და ჩაანკერდეს კონსტრუქციის ტანში. **ბეტონის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცემენტის ხარისხს.**
10. კონსტრუქციულ ნახაზებზე მუშა არმატურები მიბმულია ღერძულად, ზომები - მმ-ში.
11. საძირკვლის და სვეტების ბედაპირი, რომლებსაც შეხება აქვთ მიწასთან, დამუშავდეს და მოეწყოს წელვადი ჰიდროიზოლაცია თანამედროვე მასალებით და ტექნოლოგიებით.
12. მშენებარე ობიექტზე ხელით ელექტროშედუღების შესრულებისას გამოყენებულ იქნას ელექტროდები ხელით რკალური შედუღებისათვის ГОСТ 94 67-75-ის მიხედვით; შესადუღი მავთული ГОСТ 2246-70-ის მიხედვით; ფლუსი-ГОСТ 9087-81-ის მიხედვით; ნახშირორჟანგის აირი ГОСТ 8050-76-ის მიხედვით.
13. ლითონის კონსტრუქციების ელემენტები შეიღებოს СНиП-2.03.11-85-ის „სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან" მიხედვით;
14. ლითონის ელემენტების შედუღება განხორციელდეს (თუ მითითებული არ არის კონსკრეტულად) მათი შეხების მთელ პერიმეტრზე (კონტურზე). შედუღების ნაკერის სიმაღლედ მიიღება 1.2h სადაც h არის შესადუღებელი ელემენტების სისქეებს შორის უმცირესი, არანაკლები 6 მმ-ისა.

ფორმატი PAPER SIZE	დანართი № KONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A3			

პირობითი აღნიშვნები LEGEND

WGS 1984 აზიმუტალური სისტემის UTM პროექცია

შენიშვნა : მიწის სამუშაოების შესრულებისას
შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

1. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში ;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება შეუნიშნლობისას შეთანხმებული უნდა იქნეს პროექტის ავტორთან ;
3. შურფების კორექტირებით ავტომატურად შეიცვლება ყინა ვარიანტი.



დამკვეთი CLIENT	შპს "მელვინეურა ხარება"
პროექტი PROJECT	ტექნიკის საწყობი
მისამართი ADDRESS	ქობოლისი, სამტორის რაიონი, ნაკვეთი (02/016),(02/018),(02/023)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ვ. ოხხრიკიძე	
მთ. არქიტექტორი	ნ. ალფაიძე	
კონსტრუქტორი	ბეჟე ქირია	

შპს. "სს.ტექნიფორატექ მენეჯმენტ კომპანი"
ს.კ. 404591508
თბილისი ატენის ქ №4-6 ტელ: 577 77 55 91
E mail: nato-alfa@hotmail.com
cmc company

არქიტექტურული ნაწილი
ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE
თარიღი DATE OF ISSUE 2022წ

ნახაზის DRWG

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურცელი PAGES
	X	X

მონ. რ/ბ წერტილოვანი საძირკვლის კონსტრუქციების სამონტაჟო გეგმა
-1.500 ნიშნულზე



ფორმატი PAPER SIZE	დაკვეთა № KONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A3			

პირობითი აღნიშვნები LEGEND

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

შენიშვნა : მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

1. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან ;
3. ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმნდება წინა ვარიანტი.



დამკვეთი CLIENT	შპს "მეღვინეობა ხარება"
პროექტი PROJECT	ტექნიკის სადგომი
მისამართი ADDRESS	ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკვეთი (02/016),(02/018),(02/023)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ვ. ოხხრიკიძე	
მთ. არქიტექტორი	ნ. ალფაიძე	
კონსტრუქტორი	ბექა ქირია	[signature]

cmc company
შპს. "ს.ს."ქონსთრაქშენ მენეჯმენტ კომპანი"
ს.კ. 404591508
თბილისი ატენის ქ №4-6 მობ: 577 77 55 91
E mail: nato-alfa@hotmail.com

არქიტექტურული ნაწილი ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE	2022წ

ნახაზი DRWG

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურცელი PAGES
	X	X

მონ. რ/ბ იატაკის ფილის კონსტრუქციების სამონტაჟო გეგმა
+0.000 ნიშნულზე



ფურცლის PAPER SIZE	ხელშ. N CONTRACT N	პროექტის N PROJECT N	ფაილის სახელი FILE NAME
A3			

LEGEND

WGS 1984 -ში კოორდინატებია მოხსენებული UTM პროექციაა

შენიშვნა : მიწის სამუშაოების შესაწარმოებლად შესაბამისობაში პროექტირების წარმოებისათვის

1. ნახაზზე ზოგიერთი მოცემული სანტიმეტრებში;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება შეთანხმებულ იქნეს ავტორთან ;
3. შესაფერის პროექტირებამდე ავტორისტანაც შეთანხმება ფილა ვარიანტი.



დამკვეთი CLIENT	შპს "ველვინეულა ხარება"
პროექტის PROJECT	ტექნიკის საწყობი
მისამართი ADDRESS	ქობულეთი, სამეურნეო ზონაში, ს.ველვინე (02.016),(02.018),(02.023)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ხელმძღვანელი	ვ. ტუხარელი	
მთ. არქიტექტორი	ნ. ალფაძე	
კონსტრუქტორი	ბეჟე ჭირვა	

შპს "ს.ს.ჯ.ი.ს.ი. მშენებლობა კომპანია"
ს.კ. 404591508
ბათუმი აბაშის ქ. N4-6 ფაქს: 577 77 55 91
E mail: nato-alfa@hotmail.com
cmc company

არქიტექტურული ნაწილი ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE		გაცემის DATE OF ISSUE	2022წ
ნახაზის DRWG			

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურცლების PAGES
	X	X

ლითონის ფერმის სამონტაჟო გეგმა



ფორმატი PAPER SIZE	დაკვეთა № KONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A3			

პირობითი აღნიშვნები LEGEND

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

შენიშვნა : მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

